სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ვლადიმერ წითლაურის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	**90**	**100**

ზურაბ გურასპაშვილი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 17.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზურაბ გურასპაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ვლადიმერ წითლაურის

შეფასება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა ვლადიმერ წითლაური.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით, მოპოვებულ იქნა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატების შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმომედგინა ამავე კანონის 34[1] მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. მოწოდებულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4 (ოთხი) მახასიათებლის მიხედვით და ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა.

კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

ასაკი: **34 წელი (დაბადების თარიღი: 1990 წლის 27 თებერვალი)**
განათლება: **უმაღლესი იურიდიული (სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტი 2023 წელი)**
ნასამართლობა: **არა**
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **12 წელი.**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატ ვლადიმერ წითლაურის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის სამოქალაქო ვალდებულებებს, კერძოდ ვლადიმერ წითლაურს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები, ვლადიმერ წითლაურს პატიოსან, კეთილსინდისიერ პიროვნებად ახასიათებენ. განმარტავენ, რომ კანდიდატი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ეკიდება პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით და გამოირჩევა მაღალი ზნეობრივი თვისებებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ვლადიმერ წითლაური სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა.

გასაუბრების პროცესიდან ჩანს, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისგან და დისკრიმინაციისგან. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი.

რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი როგორც თავის საქმიანობაში, ასევე პიროვნულადაც დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი ადამიანია, პრინციპული პიროვნებაა და აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ვლადიმერ წითლაური სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი

ბრალდების არსებობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას.

გასაუბრების პროცესში ვლადიმერ წითლაური თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. მას კარგად აქვს გაცნობიერებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი კოლეგებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისას არის კორექტული, თავდაჭერილი, გააჩნია საკუთარი ემოციების მართვის უნარი.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ ვლადიმერ წითლაურის მიმართ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. მას საანგარიშო პერიოდში, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის არ უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ვლადიმერ წითლაური სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

არსებული ინფორმაციით კანდიდატი სარგებლობს დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში ისე იურიდიულ წრეებში. ასევე რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ კანდიდატს როგორც სამეგობრო, ისე აკადემიურ წრეებში გააჩნია უაღრესად დადებითი და საიმედო რეპუტაცია.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ფარგლებში რაიმე სახის ნეგატიური ინფორმაცია მისი პიროვნული თუ პროფესიული რეპუტაციის შესახებ არ გამოვლენილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ვლადიმერ წითლაური სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

დასკვნა
კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას შეესაბამება სრულად დადებითად, ამდენად მიმაჩნია, რომ კანდიდატი ვლადიმერ წითლაური სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატ ვლადიმერ წითლაურის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ)პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

სამართლის ნორმების ცოდნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ კანდიდატს დაესვა არაერთი კითხვა სამართლის სხვადასხვა მიმართულებით, კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები უმეტესწილად იყო ამომწურავი.

იგი კარგად იცნობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, ადმიანის უფლებათა სამართალს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით კანდიდატი ვლადიმერ წითლაური უნდა შეფასდეს 22 ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა.

აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა იყო დამაჯერებელი. იგი აზრს ავითარებდა გამართულად, თანმიმდევრულად.

ვლადიმერ წითლაური არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 76/17.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 1.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *ადმინისტრაციულ სამართალში* ვლადიმერ წითლაურმა წარმოაჩინა მრავალმხრივი თეორიული ცოდნა, მას უმაღლეს დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, არის სწრაფი და დამაჯერებელი, მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. *სისხლის სამართლის* სამართლებრივ საკითხებში სწრაფად ერკვევა, იღებს ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, თანმიმდევრულად და გასაგებად აყალიბებს აზრს, გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებისას დასაბუთებულად იყენებს ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილ პრაქტიკას, ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს თავისუფლად შედის დისკუსიაში და არგუმენტირებულად ასაბუთებს თავის პოზიციას. *სამოქალაქო სამართალში* ვლადიმერ წითლაურს შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მან შესანიშნავი სამოსამართლეო უნარ-ჩვევები გამოავლინა რელაციის მეთოდით სამოქალაქო დავათა დამუშავებასა და გადაწყვეტილების მიღების ტექნიკაში. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების შეტად განვითარებაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატი ვლადიმერ წითლაური უნდა შეფასდეს 22 ქულით.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ვლადიმერ წითლაურის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით, გასაგები ენით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და სამართლებრივი მსჯელობის საფუძველზე. შესაფასებელი პირის მომზადებული გადაწყვეტილებები/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლება, მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა. კანდიდატს შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. იგი ამომწურავად გადმოსცემს აზრს და შემდგომ მოკლე შეჯამებას ასახავს წერილობით, ყურადღებას ამახვილებს მნიშნელოვან საკითხებზე.

რეკომენდატორების მითითებით, კანდიდატს გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ამასთან, მას შეუძლია მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული აზრი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატი ვლადიმერ წითლაური უნდა შეფასდეს 17 ქულით.

პროფესიული თვისებები

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, პროფესიული თვისებების მახასიათებლით საერთო სასამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი

აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე, საიმედო, მეგობრული და კომუნიკაბელური პიროვნება, აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

კანდიდატი მიზანდასახულია და შესწევს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. მას გააჩნია სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, შესაბამისად, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატი ვლადიმერ წითლაური უნდა შეფასდეს 14 ქულით.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

ვლადიმერ წითლაური არის სამართლის დოქტორი. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული: სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების მხარდაჭერის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ტრენინგი შსს-ს მენეჯმენტის საკითხებში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021 წელი; ლექტორის (ინსტრუქტორის) მოამზადების კურსი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021 წელი; სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების მხარდაჭერის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ტრენინგი შსს-ს მენეჯმენტის საკითხებში - შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021 წელი; სასაზღვრო და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2022 წელი; გამოძიების ჩატარების ტექნიკა ავტოსაგზაო შემთხვევების საქმეებზე - ამერიკის საელჩო, 2023 წელი და სხვა.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი და ახალი ცოდნის

შემენის ინტერესი. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში აკადემიური კონკურსის შედეგად არჩეული იქნა სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატი ვლადიმერ წითლაური უნდა შეფასდეს 10 ქულით.

პროფესიული აქტივობა

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა.

კანდიდატი გამოირჩევა მაღალი აქტივობით, როგორც პროფესიული, ისე აკადემიური მიმართულებით, სისტემატურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა პროფესიულ დისკუსიებში, ფორუმებსა თუ სამეცნიერო კონფერენციებში.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას:

- 2014 წლის სექტემბერი - 2015 წლის ივლისი - ლექტორი - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2015 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- 2018 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2021 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2020 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - ეროვნული უნივერსიტეტი.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამართლებრივი მონოგრაფია: „ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგიერთი საკითხის განსაზღვრისთვის", ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2015 წელი; „აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა", კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული №8, 2017 წელი; „არასრულწლოვანთა განრიდების თავისებურებანი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №4, თბილისი, 2022 წელი; ტესტები და კაზუსები საქართველოს სისხლის სამართალში (სისხლის სამართლის კოდექსის პირველი 9 კარის პრაქტიკულ - თემატური განხილვა), თბილისი, 2011

წელი; „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები“, 2024 წელი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატი ვლადიმერ წითლაური უნდა შეფასდეს 5 ქულით.

დასკვნა
კანდიდატის კომპეტენტურობის შესახებ

კანდიდატ ვლადიმერ წითლაურის თითოეული მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა *90 ქულა.*

- სამართლის ნორმების ცოდნა 22 ქულა.
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია 22 ქულა.
- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი 17 ქულა.
- პროფესიული თვისებები 14 ქულა.
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა 10 ქულა.
- პროფესიული აქტივობა 5 ქულა.

ზურაბ გურასპაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 17.09.2024 წ.